ხელშეკრულება # 19

ქ. კასპი 25.06 2018 წელი

ერთის მხრივ კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება, შემდგომში **„შემსყიდველად“** წოდებული, წარმოდგენილი დირექტორის, გივი მელაძის სახით, რომელიც მოქმედებს შესყიდვების დებულების საფუძველზე და მეორეს მხრივ შპს **„EL GROUP“**, შემდგომში **„მომწოდებელად“** წოდებული, წარმოდგენილი **დირექტორის ზაალ სებისკვერაძის** სახით, რომელიც მოქმედებს შესყიდვების დებულების საფუძველზე, თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **ლედ პროჟექტორების** შეძენა 10 ცალი

კოდი 31500000- (გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრონათურები)
კოდი 31518600(პროჟექტორები)

2. საქონლის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულებაა 1800 (**ერთიათას რვაასი**) ლარი;

3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1 ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
3.2 ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას:
4.1. საქონლის მოწოდების შემდეგ დროულად მოახდინოს ანგარიშწორება.
4.2. „მომწოდებელი“ კისრულობს ვალდებულებას:
4.2.1. დროულად **მიაწოდოს საქონელი შემსყიდველს.**
4.2.2. უზრუნველყოს საქონლის სათანადო ხარისხი და ეფექტურობა.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

6.1. ხელშეკრულების ინსპექტირებას დამკვეთის მხრიდან განახორციელებს კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დირექტორი.

6.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ დამკვეთი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს შემსრულებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

6.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

7.1. მომსახურეობის გაწევა განხორციელდება ხელმოწერის დღიდან 2018 წლის 5 ივლისის ჩათვლით

7.2 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 4 აგვისტოს ჩათვლით.

8. ზოგადი დებულებები

8.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

8.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილი იქნეს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

8.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად და ორივე ტექსტს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემკვეთსა და/ან მენარდეს შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების

შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. დავათა განხილვის წესი

10.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

11. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების
გაერთიანება;
მისამართი: ქ. კასპი გ სააკაძის ქ. №68
საბანკო რეკვიზიტები:
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთანი ანგარიში
ბანკის კოდი TRESGE22
ს/კ 232559807

„მიმწოდებელი“
შპს „EL GROUP"
საბანკო რეკვიზიტები:
„**საქართველოს** ბანკი" ბანკის კოდი; BAGAGE22

მიმღების ანგარიშის ნომერი ა/ნ **GE38BG0000000895042600**
ს/კ 401957021
მისამართი: ქ. თბილისი,აგლაძის 32

„შემსყიდველი“
კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების
გარეთიანების **დირექტორი:**
გივი მელაძე

„მიმწოდებელი“
შპს „EL GROUP"ის
დირექტორი:
ზაალ სებისკვერაძე